დამტკიცებულია სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის
23 ოქტომბრის #159/02-01 ბრძანებით

$ 1. კონკურსის მიზანი

1. კონკურსის მიზანია თსუ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების ობიექტისათვის (მე-10 კორპუსი) პერსონალის შერჩევა.
2. კონკურსის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით იქმნება კომისია.

$ 2. კომისიის შემადგენლობა

1. კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი;

$ 3. საკონკურსო კომისიის ფუნქციები

საკონკურსო კომისიის ფუნქციებში შედის:
კანდიდატების წინასწარი შეტყობინების საფუძველზე გასაუბრებაზე მოწვევა;
კონკურსის წესით თსუ კვების ობიექტისათვის (მე-10 კორპუსი) პერსონალის შერჩევა.

§ 4. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი

1. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის წევრს არ აქვს უფლება თავისი ხმა გადასცეს კომისიის სხვა წევრს.
2. კონკურსში მონაწილე ყველა კანდიდატს კენჭი ეყრება ცალ-ცალკე.
3. იმ კანდიდატების შორის, რომლებმაც თანაბარი ხმები მიიღეს, კენჭისყრა ეწყობა ხელახლა.
4. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
5. კომისია მიღებულ გადაწყვეტილებას აფორმებს ოქმის სახით, რომლის საფუძველზე შერჩეულ პირებთან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულებები;

§ 5. დავების გადაწყვეტა

1.კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული დავები წყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.